სამანდატო, საპროცედურო საკითხთა და ეთიკის კომისიის

ო ქ მ ი # 2

ქ. ონი 21. 02. 2023 წ.

ონის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სამანდატო, საპროცედურო საკითხთა და ეთიკის კომისიის სხდომას თავმჯდომარეობდა კომისიის თავმჯდომარე ვლადიმერ ბერელიძე.

სხდომას 10 წევრიდან ესწრებოდა 9 წევრი: ვლადიმერ ბერელიძე, გიორგი მარკოიშვილი, შუქურა ჯაფარიძე, ნინო ბერუჩაშვილი, ანა ბაქრაძე, სერგო ლობჯანიძე, მადლენა მეტრეველი, ბიჭიკო კერვალიშვილი, თორნიკე მეტრეველი .

არ ესწრებოდა: როსტომ ლობჯანიძე

სხდომის თავმჯდომარემ კომისიის წევრებს გააცნო დღის წესრიგი:

1.ონის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე სახელმწიფო და ონის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნორმატიული ფასის დადგენის შესახებ.

/მომხსენებელი: ვლადიმერ ბერელიძე-კომისიის თავმჯდომარე/

2. ,,ონის მუნიციპალიტეტის მაღალმთიან დასახლებაში მუდმივად მცხოვრები პირის სტატუსის მქონე პირებზე ონის მუნიციპალიტეტის 2023 წლის ბიუჯეტიდან სოციალური დახმარების გაცემის წესის დამტკიცების შესახებ“ ონის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2022 წლის 26 დეკემბრის #39 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე.

/მომხსენებელი: ვლადიმერ ბერელიძე-კომისიის თავმჯდომარე/

3. ,,ონის მუნიციპალიტეტის მერიაში დამხმარე ამოცანების შესრულების მიზნით მიღებული შრომითი ხელშეკრულებით დასაქმებულ პირთა რაოდენობის შეთანხმების შესახებ“ ონის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 21 მარტის #5 განკარგულებაში ცვლილების შეტანის შესახებ.

/მომხსენებელი: ვლადიმერ ბერელიძე-კომისიის თავმჯდომარე/

მოისმინეს: 1.ონის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე სახელმწიფო და ონის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნორმატიული ფასის დადგენის შესახებ.

/მომხსენებელი: ვლადიმერ ბერელიძე-კომისიის თავმჯდომარე/

ვლ. ბერელიძემ სხდომას გააცნო დადგენილების პროექტი ონის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე სახელმწიფო და ონის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნორმატიული ფასის დადგენის შესახებ და აღნიშნა, რომ მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად, საკრებულო ვალდებულია, ყოველწლიურად, არაუგვიანეს თებერვლისა, განსაზღვროს ონის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე სახელმწიფო და ონის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნორმატიული ფასი, ამ ეტაპზე ცვლილება არსებულ ფასში არ ხდება და მტკიცდება უკვე განსაზღვრული ფასი.

კომისიის წევრებმა იმსჯელეს აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით. შენიშვნები არ გამოთქმულა. სამანდატო, საპროცედურო საკითხთა და ეთიკის კომისია რეკომენდაციას აძლევს საკრებულოს, საკითხი-,,ონის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე სახელმწიფო და ონის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნორმატიული ფასის დადგენის შესახებ,“ განხილული იქნას ბიუროს სხდომაზე.

მოისმინეს: 2. ,,ონის მუნიციპალიტეტის მაღალმთიან დასახლებაში მუდმივად მცხოვრები პირის სტატუსის მქონე პირებზე ონის მუნიციპალიტეტის 2023 წლის ბიუჯეტიდან სოციალური დახმარების გაცემის წესის დამტკიცების შესახებ“ ონის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2022 წლის 26 დეკემბრის #39 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე.

/მომხსენებელი: ვლადიმერ ბერელიძე-კომისიის თავმჯდომარე/

ვლ. ბერელიძემ სხდომას გააცნო დადგენილების პროექტი ,,ონის მუნიციპალიტეტის მაღალმთიან დასახლებაში მუდმივად მცხოვრები პირის სტატუსის მქონე პირებზე ონის მუნიციპალიტეტის 2023 წლის ბიუჯეტიდან სოციალური დახმარების გაცემის წესის დამტკიცების შესახებ“ ონის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2022 წლის 26 დეკემბრის #39 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე.

აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით შენიშვნები არ გამოთქმულა. კომისია გასცემს რეკომენდაციას საკითხი-,,ონის მუნიციპალიტეტის მაღალმთიან დასახლებაში მუდმივად მცხოვრები პირის სტატუსის მქონე პირებზე ონის მუნიციპალიტეტის 2023 წლის ბიუჯეტიდან სოციალური დახმარების გაცემის წესის დამტკიცების შესახებ“ ონის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2022 წლის 26 დეკემბრის #39 დადგენილებაში

ცვლილების შეტანის თაობაზე, განსახილველად შეტანილი იქნას ბიუროს სხდომის დღის წესრიგში.

მოისმინეს: 3. ,,ონის მუნიციპალიტეტის მერიაში დამხმარე ამოცანების შესრულების მიზნით მიღებული შრომითი ხელშეკრულებით დასაქმებულ პირთა რაოდენობის შეთანხმების შესახებ“ ონის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 21 მარტის # 5 განკარგულებაში ცვლილების შეტანის შესახებ.

/მომხსენებელი: ვლადიმერ ბერელიძე-კომისიის თავმჯდომარე/

მომხსენებელმა სხდომას გააცნო განკარგულების პროექტი ონის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 21 მარტის # 5 განკარგულებაში ცვლილების შეტანის შესახებ და განმარტა, რომ ქ. ონში რაჭის მუზეუმის ახალი შენობის სათანადო მოვლა-პატრონობისათვის საჭიროა, გამოიყოს სამი საშტატო ერთეული-ერთი ტექნიკური მუშაკი და ორი დარაჯი. შესაბამისად, ონის მუნიციპალიტეტის მერიაში დამხმარე ამოცანების შესრულების მიზნით მიღებული შრომითი ხელშეკრულებით დასაქმებული პირების რიცხოვნობას უნდა დაემატოს ერთი ტექნიკური მუშაკის და ორი დარაჯის პოზიცია.

აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით შენიშვნები არ გამოთქმულა. კომისია გასცემს რეკომენდაციას საკითხი-,,ონის მუნიციპალიტეტის მერიაში დამხმარე ამოცანების შესრულების მიზნით მიღებული შრომითი ხელშეკრულებით დასაქმებულ პირთა რაოდენობის შეთანხმების შესახებ“ ონის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 21 მარტის # 5 განკარგულებაში ცვლილების შეტანის შესახებ, შეტანილი იქნას ბიუროს სხდომის დღის წესრიგში განსახილველად.

დღის წესრიგით გათვალისწინებული საკითხების ამოწურვის შემდეგ სხდომის თავმჯდომარემ სხდომა დახურულად გამოაცხადა.

ვლადიმერ ბერელიძე

კომისიის თავმჯდომარე